

**კახი წერეთელი****ქალაქი ქინვანი და ღარიალის საუღელგეხილო  
მაგისტრალი**

შუა საუკუნეების ქალაქ ქინვანის წარმოშობის დროისა და მიმდებარე საკითხთა განხილვისას, როგორც წესი, ყურადღება მახვილდება XII ს. საქართველოს სახელმწიფოებრივ ძლიერებაზე, რასაც შედეგად მოჰყვება სტრატეგიული თვალსაზრისით მუდამ უდიდესი მნიშვნელობის მქონე ღარიალის საუღელგეხილო გზაზე კონგრულის განახლება და ამ გზის მეშვეობით იმიერკავკასიასთან ინტენსიური სავაჭრო-პოლიტიკური ურთიერთობების დამყარება (1:60; 2:99; 3:70; 4:35).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი პროფ. რ. რამიშვილი) კვლევა-ძიების შედეგად ორი არაგვის შესართავთან გამოვლინდა ძვ. წ. I - ახ. წ. VIII სს. ვრცელი სამაროვანი და ქალაქური ტიპის ნამოსახლართა ნაშთები, რაც, აქ გამავალი საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალის გათვალისწინებით, არანაირ მოულოდნელობას არ წარმოადგენს (5:20-24). აღნიშნული დასახლება VIII ს-დან წყვეტს არსებობას. ქინვანის ნაქალაქარის ჩრდილოეთ გარეუბანში გათხრებმა გამოავლინა XI-XII სს. ქრონოლოგიური დონე (6:38); საერთოდ კი, არქეოლოგიური მასალების მონაცემებით, ქინვანში ცხოვრების განახლება X ს-დან შეინიშნება (7:25). გემოთქმულთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ქინვანის ციხის კომპლექსის გრანდიოზული “მურგიანი კოშკი“, რომელიც, მართალია, წყაროების თანახმად გიორგი ბრწყინვალის სასახლეა (8:182), მაგრამ გაცილებით ადრე მის მფლობელებად კახთა მეფეები ჩანან (9:45). ამ სასახლის მშენებლობის პერიოდის საკითხთან მიმართებაში უთუოდ გასათვალისწინებელია, რომ გათხრების პროცესში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა XIII და XIV სს, ანუ გიორგი ბრწყინვალის თანადროულ და უფრო ადრეულ ხანას განეკუთვნება (10:139-144), რაც კოშკის ხანგრძლივი ექსპლუატაციის პირობებში სავსებით ბუნებრივია და კახთა მეფეებისადმი მისი კუთვნილების ვარაუდს ხელს არ უშლის. აქვე უნდა ითქვას, რომ ქინვანი, რიგ სხვა ქალაქებთან ერთად (აგენი, გორი, ბარალეთი, სურამი, ალი, მოვრეთი) XI-XII სს-ში წარმოშობილად მიჩნეული (2:100:101; 11:39).

გემოთქმულიდან გამომდინარე, ქალაქ ქინვანის XII ს-ში გაჩენის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად მხოლოდდამხოლოდ ცენტრალიზებული ქართული მონარქიის მიერ ღარიალის გზის

გაკონტროლების მიხნევა, ჩვენი აზრით, გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს. ვფიქრობთ, ჟინვანის წარმოშობისა და უმთავრესი ფუნქციის საკითხი საქართველოს მთა-ბარის რთულ ისტორიულ ურთიერთობათა პროცესების კონტექსტში უნდა განიხილებოდეს, რაც, თავისთავად, ფართო და მრავალწახნაგოვანი პრობლემების სისტემაა; აქედან გამომდინარე ყურადღებას მხოლოდ რამოდენიმე მომენტზე ვამახვილებთ.

რასაკვირველია, ჟინვანს ჩხრდილოეთის გზის კონტროლის საქმეში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა, მაგრამ განახლებული ქალაქის ადგილმდებარეობა, მისი ურთიერთმიმართება საგრანზიგო მაგისტრალის მიმდებარე საკომუნიკაციო კვანძებსა და საფორტიფიკაციო სისტემასთან, ამ ნეოურბანული წარმონაქმნის სხვა, არანაკლები დაგვირთვის მქონე ფუნქციაზე მიგვანიშნებს და გვაფიქრებინებს, რომ განვითარებულ შუა საუკუნეებში ჟინვანს უპირველეს ყოვლისა ისტორიული ფხოვის ჯერ კახეთის, შემდეგ კი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში სოციალურ-ეკონომიკური, უპირატესად კი იდეოლოგიურ-კულტურული ინტეგრაციის ამოცანა ეკისრებოდა რაც, თავისთავად, ისტორიულ ფხოვზე გამავალ ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელ მეგნაკლები მნიშვნელობის გზათა კონტროლსაც ითვალისწინებდა (12:481; 86:92).

VIII ს. დასასრულს კახეთის სამთავრო ფაქტობრივად ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა (14:130-131) და ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს წინარეებმა. დადგენილია, რომ კახეთის სამეფოს წარმოქმნა-განვითარება დასავლეთისაკენ ექსპანსიით აღინიშნა, სადაც დასავლეთი საზღვარი ქსნის ხეობაზე დაიდო და მის შემადგენლობაში ფხოვიც მოექცა (15:131). ამ პროცესს თან ახლდა ერთიანი უმძლავრესი საფორტიფიკაციო სისტემის მშენებლობა (მაგ.: X ს-ში კახეთის ქორეპისკოპოსის ფალღონ II მიერ შიდა ქართლში აგებული ლოწობანის ციხე (16:142), ჭართლის ხევის მარცხენა ნაპირზე მდებარე აღრე შუა საუკუნეების “მთავართას“ მონუმენტური ციხე-ღარბაზი (17:145-146), სოფ. ნაღბაანების “ცეცხლის ჯვრის“ VIII-IX სს. ეკლესია და სასახლის ნაშთი (18:80-90) და სხვ.). აქედან გამომდინარე, შეიძლება არ დავეთანხმობთ ნ. ბერძენიშვილის მიერ თავის დროზე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ თითქოსდა ჟინვანს ზემოთ ღარიღლის გზაზე არსებული სასახლეები XII ს-ზე აღრინღელი და XV ს-ზე ნაგვიღნევი არ შეიძლება იყვნენ (1:62).

ზემოთქმულის გათვღლისწინებით ფრიღლ საეჭვოა, რომ ჩრდილოეთის დიდი გზის აღღგენა-მოწესრიგება და ამოქმეღება

მხოლოდ დავით აღმაშენებლის სახელს დაუკავშირდეს. ცალკე აღებული სასიმაგრე ნაგებობები იკმარებს იმის საილუსტრაციოდ, თუ მურვანყრუსაგან გაპარტახებულ საქართველოში კახეთმა მალევე როგორ შეძლო წელში გამართვა, თავადვე დაუპირისპირდა არაბებს და გარკვეული ხნით ფუნქცია მოშლილ დარიალის მაგისტრალს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო. ასე რომ, XI ს-ში მაინც (და უდავოდ გაცილებით ადრეც), ჩრდილოეთის გზის ინტენსიური მოქმედებისათვის ყველა პირობა არსებობდა, მის მარშრუტს საფორტიფიკაციო სისტემა სრულად აკონტროლებდა და, ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლამდე, ამ მიმართულებით საკმარისად ეფექტური ღონისძიებებია გაგარებული (19:105-150); მაშასადამე გვაქვს საფუძველი დავასკვნაო, რომ დარიალის გზის გაყოლებაზე ბარის (რესპ. სახელმწიფოს) მიერ კონტროლირებადი ზედაფენა ადრე შუა საუკუნეებში არსებობს, ეს კი უდიდეს წილად დარიალის დაცვა-კონტროლის აუცილებლობის შედეგს წარმოადგენდა და რაც ხსენებული სასიმაგრე სისტემის მეშვეობით წარმატებულად ხორციელდებოდა კიდევაც (17:147; 20:31-32).

მთიულეთ-ხევისაგან განსხვავებით მთიელებმა არაერთგან, კონკრეტულად კი ისტორიულ ფხოვეში ბოლომდე შეძლეს თემური თავისუფლების შენარჩუნება (20:34; 21:313-315). ნიშანდობლივია, რომ მთის რეგიონების არაერთგვაროვანი სოციალური განვითარების დონე სასიმაგრე ნაგებობების სპეციფიკაში იჩენს თავს; კერძოდ ფხოვეში კომპლური ტიპის ნაგებობებს ძირითადად თავდაცვითი ფუნქცია ჰქონდათ. ამავე დროს აქ, თემური დემოკრატიის ტიპის ადრეკლასობრივ საზოგადოებაში (20:40), ხშირი იყო შემთხვევა გაბატონების მოსურნე ოჯახების საცხოვრებლებისა და კომპლუების საძირკვლამდე დანგრევისა (21:180) და ეს მაშინ, როდესაც XIV ს-ის საკანონმდებლო დოკუმენტის - გიორგი ბრწყინვალის “ძეგლის დადების“ სათანადო მუხლების თანახმად, ციხის დანგრევა მკაცრ სასჯელს ითვალისწინებდა. მნიშვნელოვანია, რომ “ძეგლის დადების“ სამოქმედო არეალი ვრცელდებოდა გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულზე - მთიულეთზე, რომელიც ისტორიულ-გეოგრაფიული ხადა-ცხაოგია (22:23-28).

როგორც ვხედავთ, X-XI სს. კახეთი ადგას რა აღმავლობის გზას, სამეფო ხელისუფლების მიერ დაწინაურებული და მასზე დამოკიდებული მოხელეებისა და მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემის მეშვეობით სრულად აკონტროლებს დარიალის საუღელტეხილო მაგისტრალს, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში, კარსმომდგარ გაერთიანებულ ქართულ მონარქიაში პირველობისათვის “ქართველთა სამეფოსთან“

დაპირისპირებისას ერთ-ერთი წამყვანი მნიშვნელობა გააჩნდა. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში კახეთის სამეფო ფხოვე კონგრულის დაწესებას დაისახავდა მიზნად, რადგან “თავის ნებაზე მიშვებული“ მთის ეს ლიმიტოროფული (სანაპირო) ზონა საიმედო ბურჯის უქონლობას ნიშნავდა.

როგორც ითქვა, ქინვანის ჩრდილოეთ გარეუბანში არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა ქალაქის ორგანული XI-XII სს. ქრონოლოგიური დონე, რაც იმას ნიშნავს, რომ XI ს-ში მაინც კახეთის სამეფოს ყურადღება ფხოვისკენ მიუყვრია და მასზე კონგრულის განმახორციელებელ გრადიციულად სტრატეგიულ და გეოგრაფიული თვალსაზრისით ყველაზე ხელსაყრელ პუნქტში განახლებული ქალაქისათვის ჩაუყვრია საფუძველი, თუმცა ისტორიულმა პერიპეტიებმა ამ საქმის გამაგრძელებლად სხვა პოლიტიკური ძალა წარმოაჩინა - გაერთიანებული ქართული სახელმწიფო და მისი ცენტრალური ხელისუფლება.

როგორც უკვე შევნიშნეთ, განვითარებულ შუა საუკუნეებში ქინვანის გაქალაქების მაინცდამაინც კავკასიონის საუღელგეხილო გზის მნიშვნელობის კვლავ აღორძინებასთან დაკავშირება საკმაოდ მიგვაჩნია. აღნიშნულის თვალსაზრისით ინგერეს აღძრავს ქ. ქინვანის ტოპოგრაფია; კერძოდ ის, რომ მისი მოსახლეობა ცხოვრობდა ფშავის არაგვის მარცხენა ნაპირზე, რომელსაც შემორჩენილი ჰქონდა ტოპონიმი “ნაქალაქარი“, ვაჭარ-ხელოსანთა ფენა აქვე სახლობდა, შესაბამისად ხელოსნური წარმოების დარგები აქვე იყო კონცენტრირებული, რაც კარგად ჩანს ჭურჭლის გამოსაწვავი ქურის, თიხის ტიგელების, რკინის წილის, კვირისგაყვების და სხვა მასალების მიხედვით; გერასებზე განლაგებული ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილშია ვრცელი სამაროვანი ქინვანის მფლობელთა კამაროვანი აკლამით; ქინვანის და, შესაბამისად, არაგვის ერისთავის საყრდენს წარმოადგენდა “ნაქალაქარის“ აღმოსავლეთით მთის თხემზე დაფუძნებული თამარის ციხე, რომელიც უზრუნველყოფდა საერისთავო რეზიდენციის უსაფრთხოებას და მტკიცედ აკონგრულებდა ფხოვისაკენ გამავალ მაგისტრალს; აღნიშნული ციხის ქვემოთ, მთის ფერდზე გამოვლინდა კომპლექსი - სასახლე, ჯვარპატიოსნის ეკლესია და მის გარშემო მდებარე აკლამები, რომლებიც ტიპოლოგიურად განვითარებული შუა საუკუნეების ხანისაა; ქალაქის თავდაცვით სისტემაში მთავარი ადგილი ეჭირა საერთო გალავნის კედლით დაკავშირებულ და ერთ ხაზზე განლაგებულ სამ ძლიერ სიმაგრეს - თამარის ციხეს, წმიდა გიორგის ციხეს და უკვე ნახსენებ ბურგიანი კოშკის შემცველ ციხის კომპლექსს, რომელიც დაბლობზე მდებარეობდა, აქ იყო მოთავსებული სამეფო

სასახლე და ის ქიზანის საფორტიფიკაციო სისტემის ძირითად ბასტიონს წარმოადგენდა (7:5-25; 3:70-73; 23:134-163).

ეჭვგარეშეა, რომ სხენებული საფორტიფიკაციო სისტემა ქ. ქიზანის უსაფრთხოებას საიმედოდ უზრუნველყოფდა, მოქალაქეთა გარკვეული კონტიგენტი ჩართული იქნებოდა სათავდაცვო საქმიანობაში და ამ სასიმაგრო ერთობლიობაში შედიოდა მისგან სამხრეთით მდებარე სხვა სათავდაცვო ნაგებობები (24:76-79); თუმცა გასარკვევია, ესოდენ რთული და მძლავრი ფორთიფიკაცია მხოლოდ ქიზანის დაცვას ემსახურებოდა თუ მას უფრო ფართო და განსხვავებული ფუნქცია გააჩნდა.

გერასებზე გაშენებული ქიზანი არაგვის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა, ხოლო მითითებული ერთიანი სათავდაცვო სისტემა მისგან სამხრეთით იყო განთავსებული და მდინარის მარჯვენა ნაპირზე წმიდა გიორგის ციხე და ზურგიანი კოშკის კომპლექსი იყო განთავსებული. ეს უკანასკნელი კახთა მეფეების მიერ აშენებულადაა მიჩნეული, მაგრამ ციხე XII ან XIII სს-საც რომ იყოს, მისი და მთლიანად ამ საფორტიფიკაციო ქსელის ძირითად დანიშნულებად ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებთან კავშირ-ურთიერთობის დამყარება და ამ კონტექსტში ქალაქ ქიზანის ჩართვა-მოაზრება საპრობლემოდ გვესახება. საქმე ისაა, რომ დარიალის გზა აღრიდანვე წიწამურ-ქიზანს შორის იდო და არაგვის მარცხენა მხარეს, ორი არაგვის შესართავთან მოდიოდა (1:60), რასაც წობენისაკენ გამავალ გზაზე არქეოლოგიურად გამოვლენილი არაგვის ხეობაში შემავალი ჭიშკარი და ასევე არქეოლოგიურად შესწავლილი ძველი ხიდის ბურჯი ფაქტობრივად ადასტურებს (25:46). აღნიშნული პუნქტებიდან ჩრდილოეთისა - ნახიდური, XI-XIV სს. ქიზანის სამხრეთით საკმაოდ დიდ მანძილზე მდებარეობდა (დაახლოებით 650 მ.), ხოლო ძვ. წ. I - ახ. წ. VIII სს. ქალაქური ტიპის დასახლება და მისი სინქრონული სამაროვანი ამ ხიდის მახლობლად, ძირითადად არაგვის მარჯვენა ნაპირზე იყო განფენილი (5:24). ამრიგად, შუა საუკუნეთა ხანის ქალაქების მასშტაბებისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, რუსთაველის ეპოქის ქიზანი საკმაოდ დიდი მანძილით იყო მოცილებული მის სამხრეთით მდებარე დარიალის გზას, რაც გარკვეულწილად საფორტიფიკაციო სისტემის სამ ციხესა (განსაკუთრებით თამარის ციხეზე) და მათ დამაკავშირებელ გალანის კედელზე ითქმის, მით უმეტეს, რომ საკუთრივ ქალაქს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან საკუთარი ბლუდე-კედლები საიმედოდ ამაგრებდა და ქალაქში შესასვლელი კარიბჭე სამხრეთი გალანის კედელში ჩართული კოშკის პირველ სართულში იყო

გამართული.

ქინვანისა და დარიალის გზის ურთიერთმიმართების საკითხზე მსჯელობისას ფრიად საყურადღებოდ მიგვაჩნია ის, რომ ქალაქს სამხრეთიდან ესაზღვრებოდა 800 მ<sup>2</sup>. ფართობის საქარავნო სახლი (7:9), რაც საბაჟოს არსებობაზე უნდა მიანიშნებდეს; ეს კი საქონლის ქალაქში გარკვეული საზღაურით შეტანას გულისხმობს, ხოლო აქ შემოზიდულ-დასადგურებული სავაჭრო თუ სხვა სახის საქონელი უშუალოდ ქინვანსა და იქიდან ჩრდილოეთით - ფხოვსა და ჩრდილოეთ კავკასიაში სარეალიზაციოდ თუ საქონელგაცვლისათვის იქნებოდა გათვალისწინებული. საქონელი ქინვანში უთუოდ ჩრდილოეთიდანაც შემოედინებოდა. მაშასადამე, სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით, ქინვანი დარიალის გზაზე გაცილებით მეტად ფშავის არაგვის აყოლებით ჩრდილოეთისაკენ იქნებოდა ორიენტირებული.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ფხოვის ჯერ კახეთისა და შემდგომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს სივრცეში ინტეგრაციის ძირითად ფორპოსტად ქინვანის მოაზრების სარწმუნო არგუმენტებად გვესახება:

1. ქინვანის გეოგრაფია, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ძვ. წ. I - ახ. წ. VIII სს. ორი არაგვის ხერთვისთან მდებარე ქალაქური ტიპის დასახლებებისაგან, ერთობ მოუხერხებელ გარემოში, რთულ რელიეფზე ტერასულად გაშენებულ და დარიალის მაგისტრალისაგან საკმაოდ დაშორებულ ქალაქს წარმოადგენდა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ 'ახალი ქინვანი 'ძველის' პირდაპირი მემკვიდრე ვერ იქნებოდა ანუ არ აიგო იქვე, რელიეფური თვალსაზრისით გაცილებით ხელსაყრელ ადგილას და მის მშენებლებს სრულიად გარკვეული მიზანი გააჩნდათ.

2. ქალაქის ძირითადი მოსახლეობა, ვაჭარ-ხელოსანთა ფენა, ქინვანის მფლობელი და მისი სამოხელეო აპარატი აქ, არაგვის მარცხენა ნაპირზე ცხოვრობდა და ხელოსნური წარმოების კერები აქვე იყო თავმოყრილი.

3. 'ნაქალაქარის' ჩრდილოეთით მდებარე სამაროვანზე იკრძალებოდნენ როგორც რიგითი მოქალაქენი, ასევე სოციალური ზედაფენის წარმომადგენლები. აქვეა სამი ერთნაგვიანი ეკლესია, რომლებიც ქინვანისა და მისი შემოგარენის გამორჩეული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლებია (26:53:54).

4. ქალაქის სამხრეთი ზღუდის მახლობლად მდებარე საქარავნო სახლი მოწმობს, რომ დარიალის გზით იმპორტული და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ადგილობრივი საქონელ-ნაწარმი შეედინებოდა ქინვანში და იქიდან ფხოვსა და

იმერკავკასიაში, რაც უეჭველად პირუკუ პროცესსაც გულისხმობს, ანუ ქინვანი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის და იმერკავკასიის გარკვეულ რეგიონებთან სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების საყრდენი პუნქტი ყოფილა, რაც ამ ქალაქის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენდა. სავსებით რეალურად გვესახება საქარავნო სახლთან საბაჟოს არსებობა, რაც ქინვანის შემოსავლის საკმაოდ სოლიდური, ხოლო იქიდან სახელმწიფო ფისკის ერთობ წონადი წყარო იქნებოდა.

5. უაღრესად მნიშვნელოვანია ქინვანის ერთ-ერთ სათავსოში 1976 წელს აღმოჩენილი ბრინჯაოს მედალიონი მიქაელ მთავარანგელოზის გამოსახულებით და იგი მიჩნეულია ქინვანში დამზადებულ შტამპურ მედალიონად, რომელიც გამოიყენებოდა მაგრიცად (27:84-88). ეს აღმოჩენა იმ მხრივაც საყურადღებო, რომ ქრისტიანული შინაარსის სასულიერო ნივთების სერიული წარმოება უთუოდ ზოგადად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კონკრეტულად ფხოვეში და, ალბათ, იმერკავკასიაში ქრისტიანობის პოპიციების გამყარებას ისახავდა მიზნად და ეს იყო ქინვანის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მისია.

6. შუა საუკუნეთა ქინვანს მისგან სამხრეთით განლაგებული საფორტიფიკაციო ნაგებობათა სისტემა იცავდა, თუმცა უშუალოდ ქალაქსაც ჰქონია საკუთარი ზღუდე-გალაფანი, რაც, ქართული სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების გენიგში, გადაჭარბებულ სიფრთხილედ შეიძლება გვეჩვენოს. მაგრამ ქინვანსა და მის გარშემო სასიმაგრე ნაგებობათა ასეთ კონცენტრაციას ძალზე საინტერესო და, ვფიქრობთ, ზუსტად ახსნას უძებნის რ. რამიშვილი. მისი დაკვირვებით, თამარის მეფობისას მომხდარი ფხოველთა ცნობილი ამბოხის მიზეზი გახდა მთის ჭარბი მოსახლეობის უკვე მთლიანად ათვისებულ მთისწინეთსა თუ ბარში მიძალევა-ჩასახლების შეუძლებლობა (17:151-153). მაშასადამე, განვითარებული შუა საუკუნეების ხანის ქინვანს კიდევ ერთი და ფრიად საპასუხისმგებლო მისიის აღსრულება ეკისრებოდა - არა თუ მხოლოდ მთის ათვისება - "მორჯულებაზე" ებრუნა, არამედ იარაღითა და ციხე-გალაფნების მტკიცე კედლებით შეეკავებინა მიწის ნაკლებობით შეჭირვებული, მეკობრეობით თავის რჩენაზე გადასული და ბარად ძალით ჩასახლების მოსურნე ფხოველები.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა ამრიგად რომ: "საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდგომ... ქინვალის მონაცვლე ცენტრმა გადაინაცვალ დუშეთში, მაგრამ მისი კონგროლი მთიულეთის ხეობაზე საკმარისი არ იყო. ქინვალის ფუნქციის აღმასრულებლად მოგვევლინა XVI-XVII საუკუნეებში

აღმოცენებული ანანურის ციხე“ (7:29). ჩვენ ვფიქრობთ, ქინვანი XIV ს. შემდგომ იმიტომ ვერ აღდგა, რომ თემურლენგამდე, მონღოლების მიერ წელში გაგზავნილ საქართველოში, უკვე არ არსებობდა ისეთი საგარეო თუ საშინაო პირობები და პოლიტიკური ძალა, რაც მთაბე, განსაკუთრებით კი ფხოვე იმ ხარისხით განახორციელებდა კონტროლს, როგორც ეს ვახტანგ გორგასლის, ან თამარის მეფობის დროს იყო. XIV ს-ში გიორგი V ბრწყინვალის მიერ ქვეყნის ალორდინების მიზნით გაგზავნილ მასშტაბურ ღონისძიებათა რიცხვს ქინვანის განახლების მცდელობაც მიეფუძვება, რასაც აქ ჩაგარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება მოწმობს, მაგრამ სწორედ გათხრების შედეგად დაფიქსირებული სტრატიგრაფია არკვევს, რომ: ‘XIV საუკუნეში მონღოლთა ბატონობის შემდეგ ჩაგარებული სამუშაოები ძირითადად წარმოებდა არაგვისპირა ტერასაზე, სადაც მიწასთან გასწორებულ შენობის ნაყარ ფენაზე ახალი შენობა აგებულია განსხვავებული გეგმარებით, რის გამოც ზედა სამშენებლო ღონის შენობათა კონტურები არ ემთხვევა ქვედა სამშენებლო ღონის კონტურებს. ქალაქის ტერასულ ნაწილზე (II-IV ტერასა) მეორე სამშენებლო ღონე იშვიათად გვხვდება; სავარაუდოა, რომ ამ ნაწილში აღარ განახლდა ცხოვრება XIV ს-ში, ან ძველი შენობის კონტურები აღადგინეს და გამოიყენეს საცხოვრებლად“ (2:6). მამასადაძე, XIV ს-ში ქინვანის ნანგრევებზე წარმოებული სამშენებლო საქმიანობა არც თუ მასშტაბური ყოფილა და ძირითადად მოიცავდა არაგვისპირა ტერასა, ანუ, ტერიტორიალური თვალსაზრისით, აყვავების ხანის ქალაქის უმნიშვნელო ნაწილი.

უკვე ითქვამ, რომ გიორგი ბრწყინვალის ‘მეგლის დაღების“ სამოქმედო არეალი ფხოვეს არ სწვდებოდა და ადრინდელი მმართველობითი ინსტიტუტების მთიულეთ-ხევში აღდგენის მიზნითვის იყო გათვალისწინებული, ანუ ამ დროს ფხოვი თითქოს ‘თავის ნებაზეა“ მიშვებული და დარიალის გზის კონტროლის მთელი ტვირთი კვლავინდებურად ხევ-მთიულეთს აწევს; ხოლო ქინვანში წარმოებული აღდგენითი სამუშაოების ერთობ მცირე მასშტაბების გათვალისწინებით რეალური ჩანს, რომ მოცემულ პერიოდში ქალაქს ფხოვის მაკონტროლებელი ფუნქცია, ყველა თავისი შემადგენელი კომპონენტით, უკვე მთლიანად თუ არ ჰქონდა დაკარგული, ყოველ შემთხვევაში ეს ფუნქცია ფრიალ უმნიშვნელო და მინიმალური იქნებოდა.

განვითარებულ შუა საუკუნეებში ქინვანი მთის მოსახლეობის ბარად მიგრაციის პროცესს არეგულირებდა; მაგრამ უკვე გიორგი ბრწყინვალის დროს და, განსაკუთრებით, თემურლენგის



შემოსევების შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა, ამიერიდან არა თუ მთის ჭარბი მოსახლეობის შეკავება, არამედ პირიქით, გამეხსრებულ ბარს, მწვავე დემოგრაფიული კრიზისის მოგვარების მიზნით, მთიდან ახალმოსახლეთა შემომავლების აუცილებლობა ექცა სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანად. მთის მოსახლეობის ბარში მიგრაციის პროცესზე თვალის გაღვენება, ეთოგრაფიული მასალების და აღწერის მონაცემების ურთიერთკავშირების საფუძველზე, მხოლოდ XVII ს-დან თუ არის შესაძლებელი, მაგრამ XVII ს-ზე ადრეული პერიოდისათვის მთიდან მოგანილი საკულტო ნიშები ოდესღაც მთის მოსახლეობის ბარში გადასახლების დინამიკის აღსადგენად უაღრესად საყურადღებო წყაროს წარმოადგენს (28:14). როგორც ჩანს, ცენტრალური ხელისუფლების მკაცრ კონტროლს თავდაღწეულ და უკვე რწმენით ქრისტიან მთიელთა სამოგადოების მარგანიზებულ ძალად კვლავ თეოკრატიული ბუნების ჯვარ-ხატთა ინსტიტუტი გამოდის. ალბათ სწორედ მონღოლთა მიერ ქვეყნის დაუძღვრების კვალთაზე უნდა დაწყებულიყო ფხოლველთა ქინვანამდე და იქიდან კი ძირითადად კახეთის მიმართულებით ინტენსიური და დაუბრკოლებელი მიგრაციის პროცესი, რასაც თან სდევდა მათ ახალ სამკვიდრებელში ჯვარ-ხატთა კომპლექსების დაფუძნება, რომელთა არქიტექტურა და, ორთოდოქსული კანონიკის თვალსაზრისით, იქ წარმოებული უჩვეულო რიტუალი ოფიციალური ეკლესიისათვის ფორმით მიუღებელი იქნებოდა (ჯვარ-ხატებში საპატრიარქოს დაქვემდებარებული მღვდლები არ მსახურებდნენ), მაგრამ რადგან მასში ქრისტიანული შინაარსი უდავოდ საცნაური იყო, სამეფო ხელისუფლება და უმაღლესი საეკლესიო იერარქიაც, სხვა გზა და საშუალება რომ არ ჩანდა, ამასაც ურიგდებოდა. მთასა და ბარს შორის უკვე ისეთი ურთიერთობა დამყარდა, რაც ორმხრივ ხელსაყრელი, თითქმის პარიტეტული ხასიათისა იყო და რაც ლევან კახთა მეფის (1520-1574 წწ.) და ფხოვლების ხელშეკრულებაში აისახა მკაფიოდ; კერძოდ კი ეს შეთანხმება ლაშქრის გამოყვანის სანაცვლოდ ფხოველთათვის კახეთის საძოვრების გამოყენების პირობას უზრუნველყოფდა (29:573).

ყოველივე ზემოთქმული მიაჩნდება, რომ ქალაქ ქინვანმა მონღოლთა ბატონობის შედეგად, ჯერ ერთი, მთის ჭარბი მოსახლეობის შეკავების ფუნქცია მთლიანად ამოწურა და მეორე - იგი უკვე ვეღარ ასრულებდა მთაში ქრისტიანობის, როგორც სახელმწიფო იდეოლოგიისა და პარალელურად ნაწილობრივ ბარული ტიპის მმართველობითი ინსტიტუტების დამნერგავი ფორპოსტის მისიას; ანუ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს საბოლოოდ დაშლამდე ქინვანის ქალაქობის განმაპირობებელი

ყველა წამყვანი ფაქტორის ქმედითუნარიანობისა და არსებობის საფუძველი პრაქტიკულად მოიშალა.

ჩვენ შევეცადეთ გაგვეჩვენოთ განვითარებული შუა საუკუნეების ქ. ქინვანისა და ღარიალის გზის ურთიერთმიმართების საკითხი და მივედით დასკვნამდე, რომ მის უმთავრეს ფუნქციას, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებთან შედარებით, სახელმწიფოებრივი პოზიციიდან კულტურულ-იდეოლოგიური კუთხით არათანაბარ საფეხურზე მდგომ ფხოვზე კონტროლის განხორციელება წარმოადგენდა, რაც რიც ცალკეულ ასპექტებში ჰპორებდა გამოხატულებას. ერთდროულად იმის დასაბუთებასაც შევეცადეთ, რომ ქინვანის წარმოშობამდე გაცილებით ადრე და უკვე ქალაქობის პირველ ეტაპზევე მთიულეთის არაგვის ხეობა და ხევი ბარის მხრივ საკმაოდ მტკიცედ კონტროლირდებოდა, რაც ჩრდილოეთის გზის მთელ გაყოლებაზე მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემით და კახეთის სამეფოზე დაქვემდებარებული ადგილობრივი ზედაფენის მეშვეობით ხორციელდებოდა. ერთიანი ქართული სახელმწიფოს ძლიერების პერიოდში, გარდა ზემოთქმულისა, ქინვანის ფუნქცია ითვალისწინებდა მთის ჭარბი მოსახლეობის ბარში მიძალების პროცესის რეგულირებას და ფხოვისა და ფხოველთა სახით მტკიცე ბურჯის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, გეოგრაფიული პირობების სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველაზე საიმედო თავშესაფრის უზრუნველყოფას. სწორად ამ მიმართულებით სრული წარმატების მიღწევის მიზნით ცენტრალურმა ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააძლიერა და დააწინაურა ქინვანი და, ალბათ, ამის გამო გახდა ეს ქალაქი “შვიდთავე მთიულეთის“ მფლობელის რეზიდენცია. მაშასადამე ქინვანს თავისი გამოკვეთილი ფუნქციების ერთობლიობა გააჩნდა, ხოლო ქვეყანაში გარეშე მტრულ ძალთა ჩარევის მიზეზით განვითარებული კაცასტროფული მოვლენების შედეგად XIV საუკუნის შემდგომ ჩრდილოეთის გზამ არაგვის მარჯვენა ნაპირზე რომ გადაინაცვლა და ღუშეთის როლი გაიზარდა, ეს ამ ქალაქის თუ XVI-XVII სს. ანანურის ციხის ქინვანის მონაცვლე ცენტრად გადაქცევას არ უნდა ნიშნავდეს.

## ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი ნ. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966.
2. მუსხია შ. საისტორიო ძიებანი, ტ. III, თბ., 1983.
3. რამიშვილი რ. ნაქალაქარი ქინვანი. - ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები IV, თბ., 1982.
4. გაბაშვილი მ. საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში, თბ., 1981.
5. ჩხილაძე ვ. არაგვის ხეობა ახ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ქინვალის სამაროვნის მასალების მიხედვით) ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.
6. რჩეულიშვილი გ. არქეოლოგიური ძიება ქინვალის ნაქალაქარის გარეუბანში - ქინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის III სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2003.
7. მარგველაშვილი მ. ქალაქი ქინვანი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა) ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.
8. ჟორდანიას თ. ქრონიკები, ტ. II, თბ., 1897.
9. ჯაფარიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983.
10. კალანდაძე მ. ქინვალის ციხე. - არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1977.
11. აფრასიძე ბ. საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები, თბ., 1984.
12. *საქართველოს ქალაქების ეტიმოლოგია* ნ. ი. წიგნები *საქართველოს ქალაქების ეტიმოლოგია* ნაწილი I. თბ., 1990.
13. რჩეულიშვილი გ. ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1990.
14. ლორთქიფანიძე მ. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963.
15. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, თბ., 1980.
16. ქართლის ცხოვრება, ტ. I. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
17. რამიშვილი რ. მთისა და ბარის ურთიერთობის ზოგიერთი

- საკითხი არაგვის ხეობის ახალი არქეოლოგიური მასალების მიხედვით. - ქინვალის ექსპედიცია (მეორე სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1980.
18. წერეთელი კ. ანატორის ეკლესია. - ძიებანი, თბ., 1999, 4.
  19. მინდორაშვილი დ. არქეოლოგიური გათხრები ხევში, თბ., 2005.
  20. მელიქიშვილი გ. ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის. - მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1, 1979.
  21. ქალღანი ა. ცენტრალური კავკასიონის მთიელთა კომპლექსური კულტურა, თბ., 1990.
  22. ლომიძე ი. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957.
  23. ჯორბენაძე ბ. ქინვალის სამაროვნის თხრა 1972 წელს. - ქინვალი I, თბ., 1983.
  24. ლომიძე ც. ნასოფლარი ბანთარეული. - შუასაუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 2003.
  25. ლომიძე ც. ქინვალის კარიბჭისა და ხიდისყურის კვლევის შედეგები. - ქინვალის ექსპედიცია, თბ., 1975.
  26. წერეთელი კ. ქინვალისა და მისი მიდამოების საეკლესიო ხუროთმოძღვრების ზოგიერთი ძეგლი. - ქინვალის ექსპედიცია, თბ., 1975.
  27. მარგველაშვილი მ. ქინვალში აღმოჩენილი მთავარნაგელოზის გამოსახულება. - ქრისტიანული არქეოლოგიის V კონცერენცია, თბ., 2001.
  28. თოფჩიშვილი რ. აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის მთისწინეთსა და ბარში მიგრაციის ისტორიიდან (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით). - საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში, თბ., 1983.
  29. ბაგონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

---

*Kakhi Tsereteli*

**City of Jhinvani and Dariali Pass Highway**

Summary

In the XII century the main reason for building the city of Jhinvani is believed the necessity of controlling the strategically highly important Dariali highway by the Western and Eastern Kingdom. According to our observations the mentioned highway long before appearance of Jhinvani was controlled by Kakheti Kingdom, which is witnessed by powerful fortification system along the road in the VIII-IX cc. Archaeological excavations showed that Jhinvani was built in the XI-XII cc. and its main function in Eastern Georgia in the historical highland of Phovi province was bringing in into common State space and consisted in maximal integration which had great importance for the military and political power of the State. Connection with Jhinvani Dariali Highway makes doubtful a number of aspects. Specifically, Jhinvani was built quite far to the North of Dariali highway; it had its own defensive walls; near to the Southern gates there was caravan station; just near to it was the Custom-house and in the city itself there concentrated hearths of artisan manufactures.

Hence, Jhinvani on the Dariali highway was more oriented on Phovi and on making deeper commercial and cultural ties with the neighbouring Caucasian peoples in the North.